## 4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდელის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4.3 "მიმწოდებელთან" საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს ხუთი საბანკო დღის განმავლობაში.

## 5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. სამუშაოების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 სამუშაოების მიწოდება მოხდება მისამართზე ზუგდიდი, სოფ ოდიში.
6.2 სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულდეს 2012 წლის 26 იანვრამდე.

## 7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) სამუშაოების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაქმნელად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) მიაწოდოს სამუშაოები სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.
გ) უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათ) %-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველთათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარეები ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრების თაობაზე.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ყველა წამოჭრილი დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წ. 20 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 26 იანვრამდე.

**შემსყიდველი**
ს.ს.ი.პ. ზუგდიდი სოფ. ოდიშის
№ 2 სკოლა
ზუგდიდი, სოფ. ოდიში
ს/კ 220355238
ან/№ GE08LB0121180703468000
"ლიბერთი ბანკი"-ს სამეგრელოს
რეგიონალური ფილიალი LBRTGE22

დირექტორი: /ქ. კიკალიშვილი/

**მიმწოდებელი**
შ.პ.ს. "ლაზიკა აუდიტი"
ს/ნ 400032674
თბილისი გლდანის III მიკრ.-ნი
მე-13 კორპუსი ბინა 116
ანგ/№ GE63LB0113151906832000
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
დიდუბე 1 ს/ფ 42
LBRTGE22

დირექტორი: /მ. ზარანდია/

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

# ხელშეკრულება № 1

ქ. ზუგდიდი

20 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ქ. ზუგდიდი სოფ. ოდიშის №2 სკოლა შემდგომში "შემსყიდველი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთო კიკალიშვილის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. "ლაზიკა აუდიტი" შემდგომში "მიმწოდებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ზარანდიას სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" – ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ს.ს.ი.პ. ზუგდიდი სოფ. ოდიშის №2 სკოლის ქონების "პავილიონი ვოლგას" შეფასების აუდიტორული მომსახურების შესყიდვა.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება და ფასები

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათ) ლარს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.